# გაზეთ „ალიონს“ მოსახლეობა მიმართავს



ბატონ ბაბუა ბერიძეს

ჩვენ, ოზურგეთის ექვდიის მცხოვრებლებს, ვიმედოვნებთ, „ალიონის“ 14 მარტის ნომერში გამოქვეყნებული „ჯეოგადამამუშავებელის“ განცხადებიდან გაგებულ ინფორმაციას, ეცნობებოდეთ ოზურგეთის ექვდიის ტერიტორიაზე ტყეების, აკუმულიატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს აგების შესახებ.

ვინაიდან „ჯეოგადამამუშავებელი“ ოზურგეთის ექვდიის ტერიტორიაზე ტყეების, აკუმულიატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს აგებას აპირებს, ეს ამბავი ადგილობრივ მოსახლეობას, ეკონომიკურ-სოციალურ, ეკოლოგიურ, ინფრასტრუქტურულ, ინფორმაციულ, ადამიანურ, ეთნიკურ, ეროვნულ, ეკლესიურ, ეთიკურ, ესთეტიკურ, ენობრივ, ეროვნულ-ეთნიკურ, ეროვნულ-ეკლესიურ, ეროვნულ-ეთიკურ, ეროვნულ-ესთეტიკურ, ეროვნულ-ენობრივ, ეროვნულ-ეკლესიურ-ეთიკურ, ეროვნულ-ეკლესიურ-ესთეტიკურ, ეროვნულ-ეკლესიურ-ენობრივ, ეროვნულ-ეკლესიურ-ეთიკურ-ესთეტიკურ, ეროვნულ-ეკლესიურ-ეთიკურ-ენობრივ, ეროვნულ-ეკლესიურ-ეთიკურ-ესთეტიკურ-ენობრივ, ეროვნულ-ეკლესიურ-ეთიკურ-ესთეტიკურ-ენობრივ-

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო შეთანხმების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

**რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3**
**ტელ: 558 499 100 გაზეთი**
**რეგისტრირებულია**
**ოზურგეთის რაიონულ**
**სასამართლოში 18. 11. 2004**
**№44/4-311**
**გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა**
**„მერიდიანში“**
**მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77**


**დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე**

**«ალიონთან»**

# დემოკრატიის ფორუმი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ეფექტიანობის გაზრდას მიეძღვნა

**ალიონი.** პოლონეთიდან დაბრუნდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნანა თავდუმაძე** და გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ხელმძღვანელი **თამარ ღლონტი,** რომლებმაც, ევროპის ფონდის მიწვევით, 18–19 მარტს მონაწილეობა მიიღეს ქალაქ გდანსკში გამართულ დემოკრატიის ფორუმში. აღნიშნული ფორუმი მიზნად ისახავს, ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენებით, დემოკრატიისა და სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესებას.

**ნანა თავდუმაძე:** ფორუმში მიღებული ინფორმაციითა და ევროპაში უკვე კარგად აპრობირებული ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას მიეცემა შესაძლებლობა, გაუუმჯობესოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შესაბამის უწყებაში და უფრო ეფექტური გახადოს სამოქალაქო ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

მსოფლიო თანხმდება, რომ ამ თვალსაზრისით საჭიროა ერთიანი პლატფორმის შექმნა რაც იქნება მოქალაქეებისთვის საუკეთესო საშუალება მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შემოდის ახალი ინსტიტუტი. მოქალაქე ხდება ჟურნალისტი,რა თქმა უნდა, კარგი გაგებით. ის ხდება იმ საჭირო ინფორმაციის მიმტანი, რომელზეც უნდა დაშენდეს შემდეგში გადაწყვეტილებები.

ფორუმი ჩვენთვის საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტი და განსაკუთრებით საკრებულო ნოვატორია ზუსტად ამ სფეროში. საჯარო სამსახურში ჩემი მუშაობის გამოცდილებაში მსგავსი პრეცედენტი არ მახსენდება. ადგილობრივ არასამთავრობოებთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტები მიმართულია იმისკენ, რომ საჯარო მმართველობა გახდეს გამჭვირვალე. აქ არის ერთი საკითხი, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდ და რაზე პასუხის მისაღებადაც პოლონეთში გავემგზავრე: ერთია გქონდეს ტექნოლოგიები და მისი გამოყენების საშუალება, მაგრამ მეორეა როგორ იყენებს ამას. ჩვენ ახლა ზუსტად იმ ეტაპზე ვართ, რომ მოსახლეობამ, მოქალაქეებმა გაიგონ, როგორ უნდა გამოიყენონ ეს ტექნოლოგიები.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრსა და ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბს,. ფაქტობრივად ამ ინოვაციების დანერგვა ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობითა და თანამშრომლობით მოხერხდა. ასევე დიდ სამსახურს გვიწევს საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი.

ვფიქრობ, ახლა ასამოქმედებელი დარჩა ყველაზე მთავარი და ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი – მოქალაქეების გააქტიურება და ამ თვალსაზრისით უკვე გადადგმულია პირველი რეალური ნაბიჯები.

**თამარ ღლონტი:** ფორუმში მონაწილეობა ძალიან სასარგებლო იყო ჩემთვის, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლისათვის, რადგან გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ახორციელებს სწორედ ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას სამოქალაქო მონაწილეობის სფეროში და დასძენს, რომ სხვა ქვეყნების გამოცდილება ახალი იდეების შემოტანისა და განხორციელების შესანიშნავი საშუალებაა.

# ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

## *პირდაპირი წესით მიწის ნაკვეთების გაცემაში ლევან მგელაძე დიდ მორალურ დანაშაულს ხედავს*

21 მარტს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 9 საკითხი.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის დამტკიცების შესახებ“ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

თანხმობა მიეცა ქალაქ ოზურგეთის მერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 26.26.58.0-04), 281,21 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართის, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისათვის“ (ს/კ 205307960) არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

დადებითად გადაწყდა გაზეთ „ალიონის“ თხოვნა, მიეცათ უფლება, გაექირავებინა უზურფრუქტით აღებული საოფისე სამოთახიანი ფართიდან ერთი ოთახი.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს თანხმობა მიეცა ნება დართოს უზურფრუქტუარს, შპს გაზეთ „ალიონს“ (ს/კ 237069168) 5 წლის ვადით გააქირავოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №3-ში მდებარე უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობა) (ს/კ 26.26.01-.367.01.500) პირველ სართულზე არსებული 64,4 კვ. მ ფართიდან 22,4 კვ. მ ფართი.

ამავე სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით, თანხმობა მიეცა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს:

– სსიპ თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ს/კ237113850) საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ქ. ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა ს/კ 26.26.55.164) 279 კვ. მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით (აღნაგობის უფლებით) 30 წლის ვადით გაცემის შესახებ;

– სსიპ თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სკ 237113850) საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ქ. ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქუჩას/კ 26.26.55.163) 215 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, (აღნაგობის უფლებით) 30 წლის ვადით გაცემის შესახებ;

– სსიპ თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ქ. ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა ს/კ 26.26.55.010) 47 კვ. მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, (აღნაგობის უფლებით), 30 წლის ვადით გაცემის შესახებ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე; – სსიპ თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ქ. ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა ს/კ 26.26.-55.010) 6887 კვ. მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით,(ოჯარის) უფლებით) 10 წლის ვადით გაცემის შესახებ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით გაცემას მხარი არ დაუჭირეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ლევან მგელაძემ და გოჩა ძიმისტარიშვილმა.

ლევან მგელაძე არ ეთანხმება მიწების პირდაპირი განკარგვის გაცემას და მიიჩნევს რომ ამით ხდება დიდი მორალური დანაშაული:

„ჩემთვის გაუგებარია რატომ არ გაგვაქვს ეს მიწები აუქციონზე. შეჯიბრებითობის პრინციპი უფრო გამართლებულია, რატომ ვკარგავთ ამ გზით ბიუჯეტში შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. ჩემი აზრით, დიდი მორალური დანაშაული ხდება“, – თქვა ლევან მგელაძემ.

სხდომამ უფლებამოსილება შეუწყვიტა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს და მიიღო გადაწყვეტილება განახლებული სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

# საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხის განსახილველად შეტანაზე საკრებულოს თავმჯდომარესა და დეპუტატს შორის დავა გრძელდება

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხის განსახილველად შეტანაზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძესა და საკრებულოს დეპუტატ ლევან მგელაძეს შორის 7 მარტის სხდომაზე დაწყებული დავა დღემდე გრძელდება.

**ლევან მგელაძე** თვლის, რომ ყოფილი შპს „სავაჭრო ცენტრი“ გამარჯვებული აუდიტის მიერ არასრულფასოვნად იქნა შესწავლილი და შეფასებული. მოითხოვს ამ საკითხთან დაკავშირებით დროებითი კომისიის შექმნას, კომპეტენტური აუდიტორის ან აუდიტორთა ჯგუფის მოწვევას და განსახილველად საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას, გელა კობალაძე კი განმარტავს, რომ, საკითხი განიხილეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე და მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში მისი შეტანა, რადგან იგი არ მიეკუთვნება საკრებულოს უფლებამოსილებას.

„ალიონის“ 14 მარტის ნომერში ჩვენ მათი წერილობითი განცხადებებიც გამოვაქვეყნეთ,

მაგრამ, როგორც ქალაქის საკრებულოს 21 მარტის რიგგარეშე სხდომამ აჩვენა, მხარეები კვლავ განსხვავებულ პოზიციებზე დგანან. ამიტომ, მკითხველის ინტერესების გათვალისწინებითა და საკითხზე კომპეტენტური პასუხის მიღების მიზნით, კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის ხელმძღვანელს, იურისტ **ლევან ზინთიბიძეს:**

„როგორც აღნიშნული გარემოებებიდან ირკვევა, საქმე გვაქვს საკრებულოს დეპუტატის ინიციატივასთან, რომ უნდა შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი (კომისია) ერთი კონკრეტული საქმის შესასწავლად. მოცემულ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, ეს კონკრეტული საკითხი რას ეხება, მთავარია რომ საკითხი, რომელსაც დეპუტატი შესასწავლად წარმოგვიდგენს, თვითმმართველობის უფლებამოსილებათა (განსახილველ საკითხთა) რანგს განეკუთვნება. ამავდროულად ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ცალკეულ საკითხთა შესასწავლად, საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები.

თავის მხრივ, საკრებულოს წევრს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დასვას საკითხი განსახილველად, რომელიც გამყარებულია ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 46-ე მუხლითა და თავად ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტის მე-15 მუხლის მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკრებულოს წევრს შეუძლია მოითხოვოს საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა, რომელიც საკრებულომ კენჭისყრაზე უნდა დააყენოს. ამ შემთხვევაში კენჭისყრის საკითხი დადგება არა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა-არშექმნაზე, არამედ თავად საკითხის განხილვაზე, ანუ საკრებულოს დეპუტატებმა უნდა გადაწყვიტონ - იმსჯელონ თუ არა ამ სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხზე.

ბუნებრივია, კითხვა იბადება თუ რა ხდება ამ ინიციატივის იგნორირების შემთხვევაში.. მაშინ საკრებულოს დეპუტატს ხელთ რჩება საკრებულოს ფრაქციის უფლებამოსილებათა გამოყენების ბერკეტები, რომლის წევრსაც თავად ეს დეპუტატი წარმოადგენს. საქმე იმაში გახლავთ, რომ თავად ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ საკრებულოს ფრაქციას უფლება აქვს მოითხოვოს ცალკეულ საკითხებზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაშიც საკრებულო უბრალოდ ვალდებულია აღნიშნული თემა საკრებულოს სხდომაზე მსჯელობის საგნად აქციოს და საბოლოოდ კენჭისყრაზე დააყენოს მისი შექმნა-არშექმნის საკითხი“

# შეხვედრა რეგიონული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

## პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, 2015 წელს გურია ერთ-ერთ წამყვან ადგილზე იყო რეგიონებს შორის

16 მარტს თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა შეხვედრა რეგიონული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის (რგპ) ფარგლებში. ღონისძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. შეხვედრაზე განიხილეს ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის 2014 წლის 18 ნოემბერს ხელმოწერილი საფინანსო შეთანხმების (რეგიონული განვითარების მხარდაჭერა – ფაზა II) ფარგლებში მომზადებული „2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის“ წლიური ანგარიშის პროექტი და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით განახლებული „რეგიონული უთანაბრობების ანალიზი“.

შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა ამ ღონისძიების მონაწილე, გურიაში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის მოდგილე, ბატონი გია ებრალიძე:

„2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა არის საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს და ადგენს საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც კონცენტრირებული და კოორდინირებულია რეგიონულ დონეზე, ეფუძნება განვითარების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს და მათ შესაბამისად, ქვეყნის მდგრად რეგიონულ განვითარებაზე მიმართული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ გადანაწილებას.

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება დაიწყო 2015 წლის დასაწყისში. იმავე წლის ივნისის ბოლოსთვის რგპ-ში მოცემული ღონისძიებები განხორციელების ხარჯებმა 395,9 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც მთელი წლის მანძილზე დაგეგმილი მთლიანი ასათვისებელი თანხის 33,3 %-ია. მეტწილად, ფინანსური თვალსაზრისით ასეთი ზომიერი პროგრესი სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის კლიმატური პირობებითა და საკანონმდებლო თავისებურებებით აიხსნება, რაც, ბუნებრივია, წლის პირველ ნახევარში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესს ანელებს. მაგალითად, – გზების მშენებლობის, მოდერნიზაციის და მოვლა-პატრონობისათვის გამოყოფილი თანხა 2015-2015 წლების რგპ-ს მთლიანი გამოყოფილი თანხის 55%-ს შეადგენს, ამიტომ გასაგებია, რომ ამ ღონისძიების პროგრესი (კლიმატური პირობებისა და პროექტების მოსამზადებელი პროცესის გამო) წლის პირველ ნახევარში პროგრამის საერთო შესრულებაზე ახდენს გავლენას. თუმცაღა, რეგიონებში დაგეგმილი პროექტების ფინანსური განხორციელება წლის მეორე ნახევარში დაჩქარდა.

რაც შეეხება გურიის რეგიონს, 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აქ დაფინანსდა 52 პროექტი, საერთო ღირებულებით 14 114 550 ლარი. პროექტების უმეტესობა დასრულდა 2015 წლის ბოლოსათვის, თუმცა, მათ შორის იყო რამდენიმე გარდამავალი პროექტი, რომლებიც ამ ეტაპზეც გრძელდება და დასრულდება 2016 წლის ბოლოსათვის. ისევე, როგორც ქვეყნის მასშტაბით, გურიის რეგიონშიც, ფინანსური თვალსაზრისით, წლის პირველ ნახევარში პროექტების განხორციელება შენელებული იყო კლიმატური პირობებისა და პროექტების მოსამზადებელი სამუშაოების გამო, პროცესი დაჩქარდა წლის ბოლოსათვის. გურია შესრულების თვალსაზრისით ერთ-ერთ წამყვან ადგილზე იყო რეგიონებს შორის.

რაც შეეხება 2016 წელს დაგეგმილ პროექტებს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ამ ეტაპზე დაფინანდა 36 პროექტი 12 488 284 ლარის ღირებულებით. აღნიშნულში შედის „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული თანადაფინანსება 624 423 ლარის ოდენობით. პროექტის დაფინანსება არ დასრულებულა. შესაძლოა წლის მეორე ნახევრიდან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელდეს სხვა დამატებითი პროექტების დაფინანსებაც, რომლებზეც მუნიციპალიტეტებს საპროექტო დოკუმენტაცია უკვე მომზადებული აქვთ.

2015 წელს განხორციელებული პროექტების ძირითადი მიმართულებები:

– გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;

– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია;

– ქ. ოზურგეთსა და სოფ. მერიაში მუნიციპალიტეტების ბალანსზე არსებულ შენობების რეაბილიტაცია, მათში უსახლკრო ოჯახების განთავსების მიზნით (ბენეფიციარი – 140 ოჯახამდე);

– სპავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაიწყო სამი ბაღის მშენებლობა, ხოლო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აშენდა 2 და სრულად რეაბილიტირდაამდენივე სპავშვო ბაღი;

– დაბა ურეკში (წვერმაღალა) მოეწყო ხელოვნურსაფარიანი სტადიონი;

– ლანჩხუთში, გრიგოლეთში აშენდა საწვრთნელი ბაზა 50 სპორტსმენზე.

– ჩოხატაურში დაიწყო და მიმდინარეობს კულტურის სახლის მშენებლობა;

– ჩოხატაურში რეაბილიტირდა სამხატვრო სკოლა; რამდენიმე სოფელში - კულტურის სახლი, მოეწყო სკვერი და დასრულდა გარე განათების სამუშაოები დაბასა და სოფლების ნაწილში.

2016 წლისათვის დაგეგმილი პროექტების ძირითადი მიმართულებები:

– გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა;

– სპავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

– კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია ჩოხატაურის ორ სოფელში.

# რას ითხოვენ ლაითურელები

წელს დაბის დეპუტატ რესან გაბაიძის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის **ემზარ ბერიძის** დახმარებით, მუნიციპალიტეტიდან მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით 150 ლარი გამოიყო...

– მე-4 წელია, მშობიარობის შემდეგ „ბ“ ჰეპატიტი მაქვს. ამ ბოლო თვეებში 800 ლარის მედიკამენტი შევიძინე. მოვიდა სოციალური აგენტი და მითხრა, რომ დახმარება გვქონდა მიღებული. კი ბატონო, წამლებზე დამეხმარნენ, მაგრამ სხვა დახმარება არ მიგვიღია.... თუ ეს საცხოვრისის არ გადავხურეთ, რა უნდა ვქნათ..

დაბა ლაითურში, მე-9 რაიონში ამჟამად შშმ პირი **დავით თავართილაძეც** მოვინახულეთ.

– ადრე ხულოში მასწავლებლად ვმუშაობდი, უსაფრთხოების სამსახურში... ახლა ამ მდგომარეობაში ვარ. ვინ დამეხმარება?

დაბა ლაითურში იმყოფებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **შოთა გოგიბერიძე,** რომელმაც გაზეთ „ალიონთან“ აღნიშნა, რომ „ლიბერთი ბანკში“ საპენსიო თანხების კრედიტად აღებისას, პენსიონერებს ბიზნესკრედიტების საპროცენტო განაკვეთებზე უფრო ძვირია. ხელისუფლება მეტად უნდა დაინტერესდეს ასეთი ადამიანების ბედით.

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ვასილ ხომერიკი** ამბობს, რომ **აიშე ბერიძის ოჯახს სოციალური დახმარება არ აქვს შეჩერებული და მას მარტის თვის სოციალური დახმარება ჩარიცხული აქვს.** რაც შეეხება თინა დიასამიძეს, მას ბოლო შემოწმებით სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 ქულა აქვს და შესაბამისი სერვისით ისარგებლებს, ხოლო ბროლაძეების ოჯახი შესწავლის პროცესშია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ბადრი გობრონიძის** თქმით, დაბა ლაითურში ძალიან ბევრი, გასული საუკუნის 30-იან 40-იან წლებში აშენებული ამორტიზებული საერთო საცხოვრებელია. მათ ბოლო პერიოდში 34 კორპუსი და 7 საცხოვრებელი სახლი გადახურეს. ზურაბ ბროლაძეს მათთვის არ მოუმართავს.

დაბა ლაითურის მაჟორიტარი დეპუტატი რესან გაბაიძე და გამგებლის წარმომადგენელი ემზარ ბერიძე გასულ პარასკევს გაზეთ „ალიონის“ ზარებს არ პასუხობდნენ.

# მიიღებს თუ არა გიორგი მითაიშვილი ეტლს და მისცემენ თუ არა საცხოვრებელ ბინას რომან მითაიშვილისა და მზევინარ ჩხაიძის კარმიდამოდამეწყრილ ოჯახს

**მარი კოძოევი**

„ქალაქის ეკლესიის ეზოში, ამავე ტაძრის მრევლთან ერთად, საგაზეთოდ მოსამზადებელი სტატიის შესახებ ვსაუბრობდი, თუ რა შეხედულების არის რაიონის მოსახლეობა, ოზურგეთში ჩაის კულტურის კვლავ მოშენებისა და აღორძინების შესახებ. ჩვენს საუბარს იქვე ტაძრის კუთხეში მდგომი შემწეობის მთხოვნელი ადამიანები ისმენდნენ. ერთ-ერთი მათგანი მოგვიახლოვდა, ლაპარაკში ჩაგვერთო და თავისი აზრი გამოთქვა. შევპირდი, გაზეთში დავწერდი. ეს რომ გაიგონა იქვე მდგომმა ბავშვიანმა ქალბატონმა, მომაძახა: თუ შეგიძლიათ, გაზეთში ჩემი შვილის, გიორგი მითაიშვილის შესახებ დაწერეთო, თან შემომჩივლა: ამდენი ხანია ავადმყოფ ბავშვს სხვისგან ნათხოვარი, მორყეული ეტლით დავატარებ, განმკითხველი კი არავინ არის. მრავალჯერ ვიყავი გამგეობაში და მივმართე უფროსებს, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. მე კი ეტლის შეძენის საშუალება არ მაქვს. მთელი დღე, ხან ეკლესიის ეზოში, ხანაც ბაზრის წინ ხელგაწვდილი ვდგავარ და ვმათხოვრობ, ამით კი მხოლოდ პამპერსისა და პურის ფულს ძლივს ვშოულობ. მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად ბავშვი ხშირად დამყავს ეკლესიაშიო.

გლახაკთა დახმარებას, გაჭირვებულთათვის ხელის გაწვდენას და მათზე ზრუნვას თვითონ უფალი გვავალებს, ამისთვის კი ჩვენ დიდ საზღაურს, სამოთხესა და ნეტარებას გვპირდება. კარგი იქნება თუ ზემდგომი ორგანოები გაითვალისწინებენ, გულთან მიიტანენ დედის საწუხარს და გაუწევენ დახმარებას“. – ეს ნანა ჯანხოთელის წერილია, რომელიც ავტორმა რედაქციაში გასულ კვირას მოიტანა.

რედაქციის ხელმძღვანელობის დავალებით, მოვიძიე ინფორმაცია აღნიშნული ოჯახის შესახებ. გაირკვა, რომ ოზურგეთის თემთა გამგეობის სოციალურ საქმეთა განყოფილებისთვის რომან მითაიშვილისა და მზევინარ ჩხაიძის ოჯახს ოფიციალურად მხოლოდ ერთხელ, გასულ წელს უთხოვია დახმარება და სარეზერვო ფონდიდან პირად ანგარიშზე დარიცხვით, მიულია თანხა 150 ლარის ოდენობით. ამის შესახებ აღნიშნული განყოფილების უფროსმა, ნათია ვაშალომიძემ გვითხრა.

რაც შეეხება ეტლის საკითხს, გუბერნიის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ლანა ლომაძის თქმით, გიორგი მითაიშვილის შესახებ ინფორმაცია უკვე გადაეგზავნა არასამთავრობო ორგანიზაციას „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“. ორგანიზაცია ამ ეტაპზე გურიაში სულ 150 ეტლს ჩამოიტანს, მოთხოვნა კი შეიძლება მეტი იყოს, მხოლოდ ოზურგეთიდან 80 მსურველია. ამიტომ, ჯერჯერობით დაზუსტებით არ შეიძლება თქმა, მიიღებს თუ არა მითაიშვილი ეტლს.

კიდევ ერთი: – რომან მითაიშვილისა და მზევინარ ჩხაიძის სახლი და კარმიდამო სოფელ ჯუმათში დამეწყრილია, ამის შესახებ არსებობს გეოლოგების დასკვნა. განიხილება ამ ოჯახისათვის მერიის უსახლკაროთა სახლში საცხოვრებელი ბინის სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. – თქვა ჩვენთან საუბარში ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გოჩა აბაშმაძემ.

# რეგიონის ტყვიით დაბინძურების მცდელობა გრძელდება

ცნობილია, რომ ბუნებრივ გარემოში დაბინძურებული ნივთიერებების შემოტანა ზიანს აყენებს ფიზიკურ სისტემებს და ცოცხალ ორგანიზმებს, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. გარემოს დაბინძურების სხვადასხვა ფორმა არსებობს. დაბინძურების ერთ-ერთი სერიოზული ფორმაა სატრანსპორტო საშუალებათა მოქმედების ნარჩენები და მათი გადამუშავების პროდუქტები, რომლებიც აბინძურებს ჰაერსაც, წყალსაც და ნიადაგსაც, შესაბამისად ზიანს აყენებენ ამ გარემოში არსებულ ყველა სახის ცოცხალ უჯრედს.

გარემოს დაზიანების ზემოთ აღნიშნული სახე უკვე შეეხო ჩვენს რეგიონს. ეს დადასტურდა იმ სამუშაოების შედეგად, რაც შპს „ჯეოგადამამუშავებელმა" ჩაატარა ოზურგეთის ყოფილ ექსპერიმენტალურ ქარხანაში. უსიამოვნო სუნითა და ტყვიის გადამუშავებისას წარმოქმნილი ბურუსით შეწუხებულია მოსახლეობა, რაც აისახა მათ ჯანმრთელობაზე. წყალი, ხორცი და ბუნებრივია, რძე ტყვიის მაღალი შემცველობის მატარებელი გახდა. როგორც ცნობილია, ტყვიის დამაზიანებელი გავლენა ჯანმრთელობაზე, მათ შორის ბავშვებზე მჟღავნდება თანდათანობით. ამიტომ არის, რომ ტყვიის გადამუშავებაში დასაქმებული ადამიანები ეკონომიკური სიდუხჭირიდან და არაინფორმირებულობიდან გამომდინარე უარყოფითად არ აღიქვამენ ასეთი საწარმოს ფუნქციონირებას.

ოზურგეთის რეგიონში ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნისა და ამის შედეგად გარემოს დაბინძურების უარყოფით გავლენები ბევრჯერ იყო დისკუსიის და განხილვის საგანი 2015-2016 წლებში პრესის ფურცლებზე, ფეისბუკზე, შეხვედრებისას, მოსახლეობის საპროტესტო აქციებზე. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „ტყვიის ნარჩენები განსაკუთრებით მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე და მოზარდებში იწვევს გონებრივი განვითარების შეფერხებას", „კანცეროგენული ნივთიერებები სიმსივნურ დაავადებებს, გონებრივი განვითარების შეფერხებებს იწვევს", „ტყვია და მისი ნარჩენები ტოქსიკურობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საშიში ნივთიერებებია" და ა. შ. მოსახლეობის მიერ საპროტესტო აქციებზე და შეხვედრებისას არა ერთხელ გაისმა მოთხოვნა: „სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, იქ ტყვიის გადამამუშავებელი ქარხანა არ უნდა იყოს!".

მიუხედავად მოსახლეობისა და სპეციალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და კრიტიკული შეფასებისა, „ჯეოგადამამუშავებელი" განაგრძობს ქმედებებს ტყვიის გადადნობის საწარმოს შექმნის მიმართულებით და არ ითვალისწინებს არა თუ საზოგადოების, არამედ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებსაც. „ჯეოგადამამუშავებელმა" გადაწყვიტა თვალებში ნაცრის შეყრის სხვა მეთოდი გამოეყენებინა", აღნიშნავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ცნობილი სპეციალისტი გურამ ბერძენიშვილი თავის შენიშვნებში ტყვიის გადამუშავების საწარმოს სკოპინგის ანგარიშზე.

საქართველოში დღეისათვის ტყვიის სადნობი რამდენიმე მცირე საწარმო არსებობს. კუსტარულ საწარმოებში „მზადდება ძალზე დაბალი ხარისხის ტყვიის ნადნობი", რომლებიც საფრთხეს უქმნის არა მარტო იქ დასაქმებულ ადამიანებს, არამედ რეგიონს და მთლიანად ქვეყანას. ამასთანავე ცნობილია, რომ მსოფლიოში ტყვიის გადამამუშავებელი უსაფრთხო საწარმო არ არსებობს. თანამედროვე ტექნოლოგიებით უსაფრთხოების შედარებით უკეთ დაცვა შესაძლებელია მაღალი წარმადობის ქარხნებში (ათეულობით ათასი ტყვიის პროდუქციით წლიურად). ამიტომ არის, რომ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში დასახლებული პუნქტებისა და ქალაქებისაგან მნიშვნელოვანი დაშორებით იქმნება მაღალტონაჟიანი ქარხნები. ამასთანავე მრავალ ქვეყანაში არსებობს საგანგებო უწყებები, რომლებსაც გარემოს დაბინძურების შემცირება და გარემოს დაცვის პრევენციული ზომების გატარება ავალიათ (მათ შორისაა სამეცნიერო კვლევები ტყვიის გადამამუშავებელი უსაფრთხო ტექნოლოგიებისა და გარემოს დამცავი ეფექტური ღონისძიებების შემუშავებაზე), გამოიცა მრავალი კანონი, რათა შეწყდეს ზოგიერთი სახის დაბინძურება.

ცნობილია, რომ ტყვია და მისი ნარჩენები ტოქსიკურობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საშიში ნივთიერებებია. ამიტომ გარემოს დაბინძურების შემცირება ჩვენს ქვეყანაში უპირველესად ტყვიის გამოდნობის აკრძალვით უნდა განხორციელდეს. ეს აუცილებელია ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რამდენადაც საქართველო დემოგრაფიული თვალსაზრისით სიძნელეების წინაშე მდგომი, მცირემიწიანი ქვეყანაა. საქართველოში არსებული ამორტიზებული აკუმულატორების უტილიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს მათი გაყიდვით რომელიმე განვითარებული ქვეყნის მაღალტონაჟიანი საწარმოსათვის, რომელიც უზრუნველყოფილია აკუმულატორების გადამუშავე-ბის შედარებით უსაფრთხო ტექნოლოგიით ან ქვეყანა დაელოდოს ტყვიის გადამუშავების შედარებით უსაფრთხო ტექნოლოგიის შემუშავებას. ამასთანავე ნარჩენების ექსპორტი დამუშავების მიზნით და ასევე დასაწყობება ქვეყნის შიგნით დაშვებულია ნარჩენების მართვის კოდექსით და ის უნდა შეესაბამებოდეს სპეციალურ მოთხოვნებს.

მოსახლეობისა და სპეციალისტების კატეგორიული მოთხოვნა ტყვიის გამოდნობის აკრძალვის შესახებ, ბუნებრივია, არ გამოხატავს მათ უარყოფით დამოკიდებულებას ინვესტიციების მიმართ. ბიზნესაქმიანობისათვის ხელშეწყობა აუცილებელი ფაქტორია რეგიონისა და ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ეს აქსიომაა. ამასთანავე რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისას აუცილებელია საზოგადოების აზრის გათვალისწინება, როგორც ეს არა ერთხელ აღინიშნა მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ამა თუ იმ შეხვედრაზე. ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ ნარჩენების მართვის კოდექსი, სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები და დებულებები. ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად კონკრეტული ვალდებულებების განაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ეკოლოგიური სარგებელი და ეკონომიკური მიზანშეწონილობა. ნარჩენების მართვის პრინციპები ითვალისწინებს, რომ ნარჩენების მართვა განხორციელდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის საფრთხის შექმნის გარეშე ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ფლორას და ფაუნას; არ გამოიწვიოს ზიანი ხმაურითა და სუნით, „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი"-ს გათვალისწინებით. ეს გულისხმობს ზომების მიღებას გარემოსთვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მაშინაც კი, თუ არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები.

ამასთანავე „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეს აქვს უფლება „სასამართლო წესით მოითხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა".

ოზურგეთის მოსახლეობა არ დაუშვებს რეგიონში ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას. სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, იქ ტყვიის გადამამუშავებელი ქარხანა არ უნდა აშენდეს, ეს საკითხი განხილვას არ უნდა ექვემდებარებოდეს, ასეთია მოსახლეობისა და სპეციალისტების აზრი.

**ნანული ორაგველიძე,**
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი

# „საკითხი საერთოდ არ უნდა წარმოადგენდეს განხილვის საგანს და ცალსახად უარი უნდა ეთქვას"

ასე ეხმაურება ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ქალბატონი **დარეჯან ნარსია**, გაზეთ „ალიონის" ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებულ წერილს „ჯეოგამამუშავებელმა" გადაწყვიტა თვალებში ნაცრის შეყრის სხვა მეთოდი გამოეყენებინა":

—„ოზურგეთის ყოფილ მანქანათმშენებელ ქარხანაში ტყვიის მიღება უკვე რამდენიმე წელია დავის საგანს წარმოადგენს. ბევრი ითქვა და დაიწერა, მოსახლეობის პროტესტიც გამოიხატა, მაგრამ საკითხი კვლავ განხილვის საგნად რჩება. ისეთ მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, როგორიც ოზურგეთია, ასეთი წარმოების განხორციელება ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ის დაკავშირებულია ეკოლოგიურ სირთულეებთან. საკითხი საერთოდ არ უნდა წარმოადგენდეს განხილვის საგანს და ცალსახად უარი უნდა ეთქვას. გახმაურდა, რომ ამ პროექტის განმახორციელებელი ინვესტორები სარგებლობენ საქართველოში ინდოეთის ელჩის მხარდაჭერით, რაც იწვევს გარკვეულ სირთულეებს, საკითხის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უარყოფითად გადაჭრის საქმეში. საინტერესოა ამ ელჩს საიდან აქვს უფლება ჩაერიოს საქართველოს ბედ-იღბალში და გადაწყვიტოს ამა -თუ იმ საწარმოს განთავსების საკითხი ჩვენს ქვეყანაში, მით უმეტეს ისეთ საწარმოსი, რომელიც შეიძლება რეგიონის ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზიც კი გახდეს. კი ბატონო, მოიყვანონ კარტოფილი, ხორბალი, კიტრი და პომიდორი ინდოელებმა, მაგრამ ხალხის და რეგიონის მოწამვლის უფლება როდიდან ან ვის მიერ მიეცათ. თითქმის მილიარდიანი მოსახლეობის ინდოეთისათვის შეიძლება ათასობით ქართველი ბევრი არ იყოს, მაგრამ ისედაც მცირერიცხოვან ქართველებს სად გვყავს დასაკარგი შვილები"— წერს დარეჯან ნარსია.

# „ეს შენ გეხება!"-აქცია ოზურგეთში

**ალიონი.** გასულ კვირას, ქალაქ ოზურგეთში, ალ. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის დრამატული თეატრის წინ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ინიციატივით საპროტესტო აქცია გაიმართა „ეს შენ გეხება!" აქციის თემა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დაცვის მოთხოვნა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საიას ოზურგეთის წარმომადგენლობამ არაერთი არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლები მოიწვია აქციაზე, მასში მონაწილეობა მიიღეს საიას გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებმა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი" და „ახალგაზრა მეცნიერთა კლუბი;" მედიიდან კი —გაზეთების „ალიონის" და „გურია ნიუსის" წარმომადგენლები იყვნენ.

მსგავსი აქციები უკვე გაიმართა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

# მერცხალმა" შინ წააგო

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სტადიონზე, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩი გაიმართა, სადაც ოზურგეთის „მერცხალმა" ბორჯომის „ბორჯომს" უმასპინძლა. თამაში ანგარიშით 2:1 სტუმართა თა სასარგებლოდ დასრულდა.

24 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის ბოლო ხუთეული ასე გამო-იყურება: „სამეგრელო", „ჭია-თურა"-—25-25 ქულა; „ჩხეიმელა", „ალგეთი" —23-23 ქულა; „მერცხალი" 16 ქულა. „ჩხერიმელას" და „მერცხალს" გამოტოვებული მატჩი აქვთ სათამაშევი.

## სულთათანა

# თინა დარჩია

გარდაიცვალა თინა დარჩია... გურიანთის საჯარო სკოლის ერთ-ერთი დედაბოძი, უსათნოესი ქალბატონი, მასწავლებლის ეტალონი, უამრავი თაობის აღმზრდელი, რომელსაც სკოლა, მეგობრები, საზოგადოება ღირსეულ პატივს მიაგებდა.

საქმისადმი ერთგულება, განუსაზღვრელი გულისხმიერება გახლდათ მისი ცხოვრების წესი. სათნო, მოკრძალებული, თავმდაბალი უშურველად გასცემდა გულის სითბოს და ამადაც იყო ყველას სიყვარულით გარემოცული. თავისი ცოდნითა და მაღალი პროფესიონალიზმით გამორ-ჩეული, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, უჩვეულო ერთგულებითა და თავდადებით ემსახურებოდა საყვარელ პროფესიას, მუხლჩაუხრელად ასრულებდა ბიოლოგიის მასწავლებლის რთულ და საპატიო მოვალეობას. სიყვარულთან წილნაყარი რწმენით ზრდიდა თაობებს, მაღალი სულიერებითა და ზნეობით გამორჩეული, მოსწავლეთა სულში ჩამწვდობი, ყველასათვის ცოცხალი მაგალითი, მცოდნე, ენერგიული მუშაკი, გამორჩეულად თავისთავადი, შემოქმედი ხელწერის პედაგოგი, ღრმად შინაარსიან, ემოციური დატვირთვით და ამაღლების ელფერით აღსავსე ფურცლებს წერდა სკოლის მატიანეში.

გაივლის წლები, მაგრამ სოფელს და გურიანთის საჯარო სკოლას, საამაყო და სათაყვანებელ სახედ დარჩება გამორჩეული ქალბატონი, თინა დარჩია.

**გურიანთის საჯარო სკოლის პედკოლექტივი,**

**პედაგოგთა და მეცნიერთა, თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია**

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია და შემოქმედებითი დასი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ლოტბარი **ბადრი თოიძე** და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს მაკვანეთის საჯარო სკოლის დირექტორს ამირან თოიძეს, უსაყვარლესი ძმის **ბადრი თოიძის** გარდაცვალების გამო

სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ამირან (დევი) თოიძის ოჯახს ძმის, **ბადრი თოიძის** გარდაცვალების გამო.

# „ხომ უნდა ვიცოდე, რა ხდება ჩემს ქალაქში?!“

## თინა მიქაბერიძე – 90 წლის ამაგდარი მკითხველი, რომელიც უგაზეთოდ ვერ ძლებს

მარი კოკოევი

ყოველ ორშაბათს, როცა გაზეთის ახალი ნომერი გამოდის, რედაქციაში ჩვენი მზცოვანი მკითხველი, თინა მიქაბერიძე გესტუმრობს, ეჩქარება, ოზურგეთის სიახლეებს გაეცნოს და აღარ ელოდება, როდის მიუტანენ. „ალიონს,“ სახლში. „ყოველი კვირის დასაწყისში თქვენთან მოვდივარ, იმდენად ხშირად გსტუმრობთ, ხანდახან მგონია, რომ თქვენი თანამშრომელი ვარ“,- გვითხრა ქალბატონმა თინამ.

უკეთესად რომ გაგვეცნო ერთგული მკითხველი, ჩვენც ვესტუმრეთ სახლში. აკაკის ქუჩაზე ცხოვრობს. 2 შვილი, 4 შვილიშვილი და 8 შვილთაშვილი ჰყავს. ქმარი ადრე გარდაცვლია, როცა 42 წლისა იყო.

„პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გზაში ჩემი ყოფილი მასწავლებელი შემხვდა. რომ გაიგო არსად ვმუშაობდი ჩვენთან თავისუფალი ადგილია და მოდიო, მითხრა. დავიწყე ახლანდელ მეორე საჯარო სკოლაში მუშაობა, მაშინ ქალთა სკოლა ერქვა. თავიდან პედაგოგის ადგილი არ იყო, ამიტომ ვიმუშავე საქმეთა მმართველად, ბიბლიოთეკის გამგედ. იმ დროისთვის სკოლის დირექტორი ელენე თავართქილაძე იყო. 64 მასწავლებელი დამხვდა 65-ე მე ვიყავი, ყველაზე უმცროსი, 21 წლის. სხვათაშორის, წარმატებულ მასწავლებელთა შორისაც მოვხვდი, რომლებსაც ხუთ წელიწადში ერთხელ დედაქალაქს გვგზავნიდნენ, თათბირებს გვიტარებდნენ. ქების სიგელიც მაქვს. ამ სკოლიდან გავთხოვდი. დეკრეტულ შვებულებაში რომ გავედი, ჩემი დედამთილი, რომელიც სასტუმრო „გურიაში" მუშაობდა, მძიმედ გახდა ავად, ინფარქტი მოუვიდა. ქმარმა მთხოვა, დედას რომ უიმედო მდგომარეობა არ ეგონოს, მის მგავრად ცოტა ხანს იმუშავე, ვითომ ადგილს უნახავო. მაშინ ისეთი დრო იყო, სასტუმროს წინ გაჩერებაც სირცხვილად ითვლებოდა, მაგრამ იძულებული გავხდი და მივედი; მივედი და დიდი ხანი დავრჩი. 43 წელი ვიმუშავე. მატერიალური პასუხისმგებელი პირი ვიყავი. წელიწადში ორჯერ რევიზია იყო. არასდროს სირცხვილი არ მიჭამია. შარშან, 1 ოქტომბერს დავანებე მუშაობას თავი, უფრო სწორად დავანებებინეს მაშინ, როცა სასტუმრო გაიყიდა. 21 წლისამ დავიწყე მუშაობა ახლა უკვე 90-ს ვასრულებ და სახლში ვჯდომა როგორია, არ ვიცი. ერთხელ ბანკში მივედი პენსიის ასაღებად. ჩვეულებრივად რიგში ჩავდექი. ცოტა ხანში ის ქალბატონი ჩამიდგა წინ, ჩემს უკან რომ იდგა. გამიკვირდა და მორიდებულად კუთხარი, ქალბატონო თქვენ ჩემს შემდეგ იდექით–მეთქი რიგში. გამიწყრა, შენ იცი თუ არა, მე 72 წლის ქალი ვარო. რომ დავაკვირდი, მხედველობას ნამდვილად არ უჩიოდა და გულში გამეხარდა, რომ მასზე უმცროსი ვეგონე.

20 წელი სკოლაში ვიმუშავე 42 სასტუმროში. ისე გავიდა ეს წლები, სულ არ გამიგია. არც დამითვლია. ჩემი მეგობარი იტყოდა, რაც ვიძინე, ის დრო მე არ მეთვლებაო. მეც არ მეთვლება ამიტომ ვერ ახალგაზრდა ვარ. მწყინს, ჩემი ასაკის ხალხი თითქმის აღარავინ შემორჩა. ყველამ კი ვერ მოაღწია ჩემს ხნემდე. ურთიერთობებიც შეიცვალა სადღაა ის დამოკიდებულება და სიყვარული ჩვენს დროს რომ იყო. ყველა თავისთვის დადის."

ძველი დრო ენატრება. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბავშვობა მძიმე წლებს დაემთხვა. მეორე მსოფლიო ომზე გვიყვება.

„მეორე მსოფლიო ომს მოვესწარი. მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი. ომი რა იყო, კარგად არც ვიცოდი. ჩემი სკოლის მეგობრები, ჩემზე მაღალ კლასებში რომ სწავლობდნენ ბიჭები, ყველა წაიყვანეს. გვეშმეგიდობებოდნენ, მაგრამ კარგად არც იცოდნენ, სად მიდიოდნენ, ან იქნებ იმათმა იცოდნენ, ჩვენზე დიდები იყვნენ, მე არ ვიცოდი,. მახსოვს უფროსები ტიროდნენ. ოზურგეთის ცენტრში დიდი რადიო იდგა. იქ იკრიბებოდა ხალხი, ომის ამბები რომ გაეგოთ. ჩემი სამი ბიძა დაიღუპა ომში. სკოლის ამხანაგებიც არ დაბრუნებულან არც ერთი.

ქ-ნ თინას ბებია-ბაბუასგან უფრო ძველი ამბებიც მოუსმენია: „ბებია-ბაბუასთან ექადიზე ვიზრდებოდი მათგან ბევრი ძველი ამბავი

მომისმენია. ოსმალთა შემოსევაზე მიყვებოდნენ. გაქცევა და სახლის დატოვება მოწევიათ, ვერ დვაბზუში წასულან ბებიას დასთან, მერე – ბოხვაურში, იქიდან ცხემლისხიდზე, ბოლოს სულ გახიზნულან. მოსულან ოსმალები წაუღიათ, რაც კი მოწონებიათ და რისი წაღებაც შეიძლებოდა. ბაბუას მათი ენა ცოდნია. გახიზვნიდან რამდენიმე დღეში უფიქრია, სახლს დავხედავო და მარტო დაბრუნებულა, რომ დაუნახავს ყველაფერი მიჰქონდათ, ხელსაწყოები და სხვადასხვა რკინის ნივთები ჭაში ჩაუყრია . უფუქრია ოსმალებს გადაურჩება და რომ დაბრუნდები, ამოვიღებ ჭიდანო. სახლში დაბრუნებულებს ყველაფერი განადგურებული დახვედრიათ ლეიბები და საბნებიც კი დაეჭრათ მტრებს."

ბევრი კარგი, ცუდიც უნახავს ცხოვრების ხანგრძლივ გზაზე. დიდი გამოცდილება აქვს. ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდებს რჩევას აძლევს, იყვნენ აქტიური მოქალაქეები, მიიღონ განათლება, რაც შეიძლება ბევრი იკითხონ. „ძალიან მიყვარს წიგნები. წიგნი და გაზეთი თუ არ წავიკითხე, ერთი საათი არ მაქვს ისეთი. ასე იქნება მანამ, სანამ ვიარსებებ. ჩემს შვილთაშვილებსაც ვაკითხებ,. ზაფხულობით რომ ჩამოდიან. წიგნი თუ არ წაიკითხეს, თავს არ ვანებებ. გაზეთები განსაკუთრებით მიყვარს. 72 წლის გაზეთებიც შენახული მაქვს. ყველა თემა მაინტერესებს, ნებისმიერი სიახლე. ხომ უნდა ვიცოდე, რა ხდება ჩემს ქალაქში.

## სკანვორდი






სურათზე - რედიარ კიპლინგი; სითხის საზომი ერთეული — გალონი; ბრაზიანი ბოსტნეული — ნიახური; ლა სკალას თეატრის არქიტექტორი — პიერ მარინი; ავსტრალიის აღმომჩენი — ანსგონი; წყალში აზელილი ფქვილი — ცომი; ა. ბალანჩივაძის ოპერა — მზია; მიწის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში — გეა; ნობელიანტი ფიზიკოსი ქალი — მარიამ კიური; ორიგინალი — დედანი; სიდიდით მეორე კუნძული — ახალი გვინეა; მამაკაცის სახელი — შავლეგო; იგივეა, რაც შაკიკი — მიგრენი; სამეფო ბაზიერი — შავარდენი; დრო — ხანი; სახელმწიფოც, ქუდიც — პანამა; იბნ სინა — ავიცენა; მადრიდის საფეხბურთო კლუბი - რეალი; სევდა — დარდი; სოფელი ქედის მუნიციპალიტეტში — აბუქე; ნაპრალი — მყია; დანიური ხურდა ფული — ერე; უმრავობა წარმოებაში — სტაგნაცია; მაქსშეიდერი — გეოლოგი; მეტყველების ორგანო — ენა; ჩიტების ჟრიამული — რია; მომღერალი ... თოფურია — ქითა; თაგვისმჭამელი ღამის ფრინველი — ბუ; კავშირი — და.

# თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | ძირ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა | სოფ. ლიხაური | 26.16.17.149 | 112 | 70 | 217 | 108,5 | 50 | 2170 |
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა | სოფ. მერია | 26.05.39.037. 01.500 | 65 | 65 | 110,5 | 55,25 | 50 | 1105 |
| 3 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. შრომა, ჩირე | 26.34.01.234 | 250 | | 250 | 125 | 50 | 2500 |
| 4 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ურეკი | 26.28.18.222 | 42 | | 252 | 126 | 50 | 2520 |
| 5 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ურეკი | 26.28.12.629 | 41 | | 492 | 246 | 50 | 4920 |
| 6 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ურეკი | 26.28.12.630 | 40 | | 400 | 200 | 50 | 4000 |
| 7 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ურეკი | 26.28.13.193 | 32 | | 480 | 240 | 50 | 4800 |

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია**

**ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;**

**ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;**

**„თვითმმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ვადაგაგრძელებულ აუქციონს"**

| # | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | ძირ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდ ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა | სოფ. წატაწები | 26.01.84.036 | 1134 | 722 | 2 830 | 1 415 | 50 | 28 224 |

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია**

**ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;**

**ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;**

**თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს განმეორებით აუქციონს "**

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | ძირ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა | სოფ. მაკვანეთი | 26.14.13.071 | 306 | 156 | 60 | 30 | 50 | 600 |
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა | სოფ. შრომა | 26.02.22.047 | 17 792 | 1085,47 | 5500 | 2750 | 50 | 55000 |

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია**

**ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;**

**ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;**

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები**

| # | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრ კოდი | მიწის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.17.141 | 2 000 | 80,00 | 40,00 | 50 | 800,00 |
| 2 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.17.142 | 1535 | 61,40 | 30,70 | 50 | 614,00 |
| 3 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.17.155 | 5088 | 162,82 | 81,41 | 50 | 1628,16 |
| 4 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.18.091 | 3000 | 120,00 | 60,00 | 50 | 1200,00 |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ჯუმათი | 26.08.05.149 | 8 000 | 240,00 | 120,00 | 50 | 2400,00 |
| 6 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ჯუმათი | 26.08.02.204 | 5 000 | 150,00 | 75,00 | 50 | 1500,00 |
| 7 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ჯუმათი | 26.08.02.205 | 34 304 | 1029,13 | 514,57 | 50 | 10291,33 |
| 8 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ჯუმათი | 26.08.05.150 | 19 830 | 594,90 | 297,45 | 50 | 5949,00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.07.070 | 29 000 | 1015,00 | 507,50 | 50 | 10150,00 |
| 10 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.09.100 | 2 605 | 91,18 | 45,59 | 50 | 911,75 |
| 11 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.12.091 | 6 200 | 217,00 | 108,50 | 50 | 2170,00 |
| 12 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.12.097 | 6 000 | 240,00 | 120,00 | 50 | 2400,00 |
| 13 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ჭანიეთი | 26.15.08.102 | 6 000 | 180,00 | 90,00 | 50 | 1800,00 |
| 14 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი *** | სოფ. ჭანიეთი | 26.15.09.115 | 1 111 | 44,44 | 22,22 | 50 | 444,40 |
| 15 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. წაგომარი | 26.11.19.030 | 2 918 | 84,77 | 42,39 | 50 | 847,70 |
| 16 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | გარე სავარგულები | 26.36.05.042 | 14900 | 372,50 | 186,25 | 50 | 3725,00 |
| 17 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ბაილეთი | 26.07.10.054 | 3540 | 84,96 | 42,48 | 50 | 849,60 |
| 18 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ბაილეთი | 26.07.10.056 | 17009 | 408,22 | 204,11 | 50 | 4082,16 |
| 19 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. მელექედური | 26.13.18.067 | 15 000 | 450,00 | 225,00 | 50 | 4500,00 |

*** - აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობისას ტერიტორიაზე განთავსებული წიწვოვანი ნარგავების მოჭრის უფლება არ გექნებათ!

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია**

**ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;**

**ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;**

**„თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს პირობიან აუქციონს (ამორტიზებული შენობის დემონტაჟი)"**

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრ კოდი | ძირ. შეწობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყოფილი დაწყებითი სკოლის შენობა | სოფ. მთისპირი | 26.24.13.093 | 90 | 26 | 13 | 50 | 260 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში; "

საუქციონო პირობები

ა. ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;

ბ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 1 თვის ვადაში - ობიექტის დემონტაჟი და ობიექტზე მიმაგრებული ტერიტორიის მოწესრიგება-გასუფთავება (დემონტაჟის შედეგად დარჩენილი საამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა)

„თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს პირობიან აუქციონს"

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | ბრძივი მეტრი | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილსადენი | სოფ. ლიხაური | 26.00.294 | 2 150 | 600 | 300 | 50 | 6 000 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

საუქციონო პირობები

ა. ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;

**ბ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 1 თვის ვადაში მილსადენის მიწიდან ამოღება და ტერიტორიის მოწესრიგება - არხის ამოვსება მიწით.**

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

* დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
* „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
* ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
* სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
* მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
* სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი.
* "მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205
* „ბე"-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე:

- არასაცხოვრებელი შენობა 300903313;
- საცხოვრებელი შენობა 300903306
- არასასოფლო მიწა 300903390;
- სასოფლო-სამეურნეო მიწა 300903394.

* "დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიაში"; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;"

**აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2016 წლის 28 მარტიდან 27 აპრილის 12 სთ-მდე;"**

**აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 27 აპრილს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;**

**"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი საუქციონო კომისია"**

**ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."**

დ

# დედებს ყველაზე უკეთ ლიხაურის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ეფერებიან

თემურ მარშანიშვილი

ის, რაც 23 მარტს ლიხაურის საბავშვო ბაღში ვიხილეთ, ნამდვილად არ ჯდება მხოლოდ საზეიმო ღონისძიების ჩარჩოებში. როგორც ჩანს, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა (დირექტორი ავთანდილ მექვაბიშვილი) გაზაფხულის უმშვენიერეს დღესასწაულთა (დედის დღე, ქალთა საერთაშორისო დღე) გახმოვანება-გაჰარმონიულების ბოლო აკორდი სოფელ ლიხაურის საბავშვო ბაღს შეგნებულად მიანდო, რომელმაც, თავის მხრივ, ეს მისია დამსწრე საზოგადოებისთვის დაუვიწყარი, დიდებული კონცერტით დააგვირგვინა.

„ყველაზე, ყველაზე...“ მხოლოდ ექსპოზიციაში იყო წარმოდგენა„ მერე და მერე კი, აღმზრდელ ნანი დობორჯგინიძის რეჟისორობითა თუ დირიჟორობით, უფროსი ასაკის ჯგუფ „ციცინათელას“ ბავშვებმა ოვი თავიანთ ბენეფისად აქციეს. იშვიათი იმპროვიზაციით, საოცარი გარდასახვით, მეტყველების მაღალი კულტურით, ტაქტით, მოხდენილობით, სიმკვირცხლით, გონიერებით თუ სხვ მუსიკალური და თეატრალური უნარ-ჩვევებით მათ დაამტკიცეს, რომ თავიანთ თანატოლებში ბადალი არ ჰყავთ არათუ მუნიციპალიტეტის, არამედ ქვეყნის მასშტაბით. ყოველ შემთხვევაში, დედებს ყველაზე უკეთ და ყველაზე ტკბილად ლიხაურელი ბავშვები ეფერებიან.

და, რა თქმა უნდა, ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით აღმზრდელის თანაშემწე სოფიკო სალუქვაძესა და მუსიკის მასწავლებელ ქეთი სალუქვაძეს.

მართალი გითხრათ, გაოცებული და აღფრთოვანებულიც დავრჩი, მაგრამ გაკვირვებით არ გამკვირვებია, რადგან ეს ლიხაურია, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული სოფელი, რომლის ქართული ავტორიტეტი არც ერთ დროში ოდნავადაც არ შებღალულა; რადგან კვიცი გვარზე ხტის, ამ ბენეფისის შემქმნელი ბავშვები ხომ აქაური დიდებული მამულიშვილების შთამომავლებია; რადგან ამ საბავშვო ბაღის მენეჯერი ნათია გობრონიძეა, რომელსაც ასეთი ღონისძიებების გამართვა და ზოგადად მართვა ყველაზე უკეთ ხელეწიფება. შეგახსენებთ, შარშან აქ გამართულ ფოლკლორის საღამოს, სადაც მიღებული შთაბეჭდილება მნახველს დღემდე არ განელებია.

ვაღიარებ, რომ მსიამოვნებს და ბედნიერი ვარ, როცა ასეთ ბავშვებზე ვწერ. ნოდიკო ვადაჭკორია, ანასტასია ვაშაყმაძე, გოგა სალუქვაძე, მარიამ სალუქვაძე, ბარბარე სალუქვაძე, დემეტრე ლაზიშვილი, ნინო დონაძე, ნიკოლოზ სალუქვაძე, ანასტასია პიატოვსკი, სანდრო ლომჯარია, თედო მემარნიშვილი, დაჩი ქილიფთარი, დაჩი სალუქვაძე, ნიკოლოზ ცეცხლაძე, ნანა ტუღუში, რომან გორდელაძე, მამუკა გორდელაძე, დათა ცენტერაძე, ლიზი იწკირველი, ნიკოლოზ კონტრიძე, ია კონტრიძე, ირაკლი გორგოშიძე, ერეკლე შავიშვილი, ნიკოლოზ ცხვარაძე, ლიზი გობრონიძე, ნატა გობრონიძე, ირაკლი ჩხიკვაძე, იოსებ გიორგაძე, ლიკა ბუბაშვილი... ეს ის ხალხია, ვინც უთუოდ სახელოვნად გააგძელებენ ლიხაურის სახელოვან ისტორიას.

ბენეფისის მონაწილე ბავშვების ჩამონათვალის ბოლოში შემთხვევით არ დაგვისვამს მრავალწერტილი. ღონისძიების დასასრულს ნათია გობრონიძემ სიგელები გადასცა მრავალშვილიან დედებს – ნინა ღაჟონიას, სოფიკო სალუქვაძეს, მაია ვაშაყმაძეს, ხათუნა ჭელიძეს, ქეთევან გორდელაძეს, მარინა სალუქვაძეს, ნანი სალუქვაძეს, ირინა პიატოვსკის, ლია გიორგაძეს, ნატო მეგრელაძეს. დიახ, საბავშვო ბაღი და სოფელი ასეთი დედების მოიმედეა, დიახ, აღსაზრდელთა ჩამონათვალი აქ გაისად კიდევ უფრო გაიზრდება.

ღონისძიებაზე მშობლების სახით, მხოლოდ დედები არ იყვნენ წარმოდგენილი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, მამებიც მოვიდნენ და რამდენიმე მუსიკალური ნომრით დაგვამახსოვრეს თავი. ამაზე ნათელი მაგალითი რაღა არის იმისა, ქართულ სოფელსა და ქართულ ქვეყანას ნამდვილი სიყვარულით შექმნილი, ტრადიციული ოჯახები უნდა ასაზრდოებდნენ.

# ოზურგეთელთა მონაგარი ტაილანდურ კრივში

19-20 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ღია ჩემპიონატი მუატაიში (ტაილანდური კრივი). აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის სპორტსმენები. 7 წლამდე ასაკში 29 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა ჯონი გოგუაძემ, 17 წლამდე ასაკში 63 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა ასლან მახარაძემ.

მონაწილეობდნენ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ქალაქებისა და რეგიონების ნაკრები გუნდები. მონაწილეთა რაოდენობა იყო 200-მდე. მწვრთნელი ირაკლი ტუღუში საქართველოს ფედერაციამ საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

# ოზურგეთელი კარატისტების წარმატებული გამოსვლა

20 მარტს ქალაქ ბათუმში ჩატარდა ღია საერთაშორისო ტურნირი კარატეში სახელწოდებით „ბათუმის თასი“, სხვადასხვა ასაკის სპორტსმენთა შორის. შეჯიბრში წარმატებით გამოვიდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი.

9 წლამდე ასაკში საბა ჭელიძემ +30 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა; –35 კგ წონით კატეგორიაში მეორე იყო ლაშა კოსტავა. ასევე წარმატებით იასპარეზეს ნიკა დარჩიამ და გიორგი მამინაშვილმა (14-15 წ. შ), რომლებიც პირველ ხუთეულში მოხვდნენ. ოზურგეთელთა გუნდის მწვრთნელია შოთა ღლონტი.

## ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა. (რ)



## შპს „ასკანგელ ჯგუფი“ აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

შპს „ასკანგელ ჯგუფი“ აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1 ოფისმენეჯერი (საოფისე პროგრამები, ინტერნეტი. რუსული ენა კარგად, სასურველია ინგლისური, მოითხოვება კომუნიკაბელურობა)

2. ოპერატორი (საოფისე პროგრამები, ინტერნეტი და საგადასახადო ვებგვერდზე მუშაობის გამოცდილება)

3. ბუღალტრის თანაშემწე.

დაინტერესებულმა პირებმა სვ უნდა გააგზავნონ შემდეგ მისამართზე: ტედოხომერიკი გმაილ.ცომ (ტელ. 599 27 02 69)

შპს „ასკანგელ ჯგუფი“ (ე)



## იყიდება

ქ. ოზურგეთის ცენტრში 300-კაციანი დარბაზი, აგრეთვე ყველაზე კარგი სახლი.

ქ. ოზურგეთში 46 კვ. მ ფართის მაღაზია სათავსო ფართით 48 კვ. მ.
ტელ. 555 75 42 09.



## იყიდება

2-სართულიანი 8-ოთახიანი კაპიტალური სახლი, კეთილმოწყობილი სააბაზანოთი და სველი წერტილებით, 2800 კვ. მ მიწის ნაკვეთით, რომელზეც გაშენებულია ხეხილი, ავტოფარეხით, ცალკე კუხნასახლით.

მისამართი: ოზურგეთი, აღმაშენებლის 23, ტელ. 599 75 75 23.



## განცხადებები

იყიდება (ქირავდება) ბინა გრიბოედოვის ქ. №21-ში I სართული 90 კვ. მ, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის და საოფისედ.

* * *

იყიდება მიწა 9400 კვ. მ ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.
ტელ. 599 58 75 32.


# პატივცემულო რედაქცია!

მიმდინარე წლის 3 მარტს, ქალაქის მერიის თაოსნობით, მიწვეული ვიყავი რესტორან „ელეგანტში“ ქალთა დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე.

ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გამო, მოკლებული ვარ საზოგადოებასთან ურთიერთობას. აღნიშნულ ღონისძიებაზე, ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე.

დიდ მადლობას ვუხდი პირადად ბატონ მერს ბეგი სიორიძეს და მერიის თანამშრომლებს გულისხმიერებისა და გახსენებისათვის.

პატივისცემით,
ელენე ცქვიტინიძე

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა, +3+9 | მზე, ღრუბელი +2+6 | მზე, ღრუბელი -1+10 | მზე, ღრუბელი +3+14 | მზე, ღრუბელი +9+15 | მზე, +12+18 | მზე, ღრუბელი +11+18 |
| 28 მარტი ორშაბათი | 29 მარტი სამშაბათი | 30 მარტი ოთხშაბათი | 31 მარტი ხუთშაბათი | 1 აპრილი პარასკევი | 2 აპრილი შაბათი | 3 აპრილი კვირა |